საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მირიანაშვილი შოთა მირიანის ძე

შ. მირიანაშვილი

მირიანაშვილი შოთა მირიანის ძე (დ. 2. VII. 1936, სოფ. ახალსოფელი, ახლანდ. ყვარლის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (ალპინიზმი, სპელეოლოგია, მთამსვლელობა). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-ტექნიკის ფაკ-ტი (1958). სსრკ ჩემპიონი ტრავერსების კლასში (1976, საღრანის დიდი ნალი), სამგზის მეორე (1960, 1975, 1977) და სამგზის მესამე (1965, 1969, 1973) პრიზიორი სასიმაღლო, კლდოვან და ტექნიკურ კლასებში. XX ს. 60–70-იან წლებში იყო საქართვ. მთამსვლელთა ნაკრების კაპიტანი და მწვრთნელი. ქართულ ექსპედიციებში მონაწილეობისას დალაშქრა ალპების მწვერვალები (მონბლანი, მონტეროზა), განახორციელა ტრიენის ალპების პიკთა ტრავერსი (1964), თანაგუნდელებთან ერთად – კავკასიონის, პამირისა და ტიან-შანის მთებში, შხარას მასივზე ურთულესი გზებით მრავალი პირველასვლა. ხელმძღვანელობდა 100-ზე მეტ მასობრივ ალპინიადასა და სპორტულ-საკვალიფიკაციო შეკრებას. არის სსრკ საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი და საქართვ. დამს. მწვრთნელი; თსუ-ის გ. ნიკოლაძის სახ. ალპური კლუბისა (1956) და საქართვ. მთამსვლელთა ფედერაციის (2000) პრეზიდენტი, თსუ-ის ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი (2010-იდან).